შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

ქ.თბილისი, ისნის რაიონი, ვაზისუბნის დასახლება 23-ე კორპუსის მიმდებარედ (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.17.10.001.114) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციული ნაწილის

საექსპერტო შეფასება



ქ.თბილისი

2016წ.

ქ.თბილისი 17 ოქტომბერი 2016წ.

ქ.თბილისი, ისნის რაიონი, ვაზისუბნის დასახლება 23-ე კორპუსის მიმდებარედ (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.17.10.001.114) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო შეფასება.

ექსპერტიზის სახე –საინჟინრო ექსპერტიზა;

დამნიშნავი ორგანიზაცია – შპს "ოპტიმუსი"

თანამდებობა – დირექტორი გ.ჭანკვეტაძე

მისამართი – ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ვაზისუბნის დასახლება 23-ე კორპუსის მიმდებარედ (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.17.10.001.114)

შემსრულებელი – ალ. ყურაშვილი შპს "ლილეო"-ს (ს/კ 404902496) დირექტორი, ინჟინერ-კონსტრუქტორი, სპეციალობით მუშაობის 7 წლის სტაჟით.

ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები – ქ.თბილისი, ისნის რაიონში, ვაზისუბნის დასახლება 23-ე კორპუსის მიმდებარე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.10.001.114) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციული ნაწილის პროექტის ექსპერტიზა.

საპროექტო ორგანიზაცია – შპს "ოპტიმუსი" (ს/კ 404420998)

დირექტორი – გ.ჭანკვეტაძე

კონსტრუქტორი – გ.ჭანკვეტაძე

გამოკვლევა – საინჟინრო ექსპერტზაზე წარმოდგენილია შპს "ოპტიმუსი"-ს მიერ მომზადებული დოკუმენტაცია – შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილი, შენობის საანგარიშო მოდელი, მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

საპროექტო გადაწყვეტით შენობა გეგმაში რთული ფორმის მოხაზულობისაა, ის 14 სართულიანია, ორი ავტოფარეხის ფუნქციის დანიშნულების სართულით, დანარჩენი სართულები საცხოვრებელი დანიშნულებისაა.

მზიდი კონსტრუქციები შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონის კარკასით. მიწის ნაკვეთის საინჟინრო-კვლევის შედეგების მიხედვით საძირკველი გადაწყვეტილია რკ/ბეტონის მონოლითური ფილის (h=1.0მ.) სახით, სართულშუა გადახურვებად მიღებულია მონოლითური გადახურვის წიბოვანი ფილები (h=0.18მ.). ვერტიკალურ მზიდ ელემენტებად გამოყენებულია მართკუთხა განივკვეთის სვეტები, რომლებიც

სართულების ნიშნულების მიხედვით სხვადასხვა განივკვეთისაა (0,60X0,60მ; 0,5X0,5მ და 0,4X0,4მ;) და სიხისტის დიაფრაგმები. ჰორიზონტალურ კავშირებს ქმნიან რიგელები. რომელთა განივკვათებიც შესაბამისად იცვლებიან სიმაღლეთა ნიშნულებისა და სვეტების განივკვეთების მიხედვით - 0,60X0,40(h)მ, 0,50X0,40(h)მ, 0,40X0,40(h)მ;

შენობის სახურავი წარმოადგენს მონოლითურ რკ/ბეტონის ფილაზე მოწყობილ ე.წ. "ბრტყელ გადახურვას", კედლების შემავსებელია წვრილი სამშენებლო ბეტონის ბლოკი და ვიტრაჟები.

საპროექტო ტერიტორია განისაზღვრება შემდეგი კლიმატური პირობებით:

ქარის დატვირთვა –55 კგ.ძ/მ^2

თოვლის საფარის წონა –75 კგ.ძ/მ^2

წარმოდგენილი გეოლოგიური დასკვნის თანახმად სამშენებლო უბნის ამგებ გრუნტებში სამშენებლო თვისებების მიხედვით გამოყოფილია ხუთი ფენა:

ფენა 1 – მიწის ზედაპირიდან 0,5-1,5 მ-მდე ნიადაგური ფენა მცენარეული ფესვებით (ნაძვი, ფიჭვი) მოყვითალო-მონაცრისფერო, სიმძლავრით 0,5 მ, ნაყარი ტექტოგენური, ნაირგვაროვანი სამშენებლო მასალის ჩანართით (ბეტონის ნატეხები) თიხნარის შემავსებლით, მოყვითალო ფერის.

ფენა 2 – თაბაშირშემცველი კენჭნარი კაჭარის ჩანართით, ღია ნაცრისფერი-მოყვითალო. ფენის სიმძლავრე 2,80-3,00 მეტრის ფარგლებში.

ფენა 3 – თიხნარი, ძნელპლასტიკური, მოყვითალო–მონაცრისფერო, თაბაშირის თეთრი წინწკლებით. ფენა გვხვდება 3,5–4,1 მეტრიდან 6,50–6,8 მ-მდე. ფენის სიმძლავრე 2,70–3,30 მეტრია.

ფენა 4 – ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა – ძლიერ გამოფიტული, ზედაპირიდან 6,50–6,80 მეტრიდან 8,30–9,10 მეტრამდე. ფენის სიმძლავრე 1,80-2,30 მეტრი.

ფენა-5 – სუსტად გამოფიტული არგილიტები და ქვიშაქვები, ჭაბურღილებში შეგვხვდა 8,30–9,10 მეტრიდან ჭაბურღილების ბოლომდე (12,0მ). ფენის გამოკვლეული სიმძლავრე 3,0–3,70 მეტრია.

საერთო მიკროდარაიონებისა (ᲡᲜ 01.01.-09) და ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიხედვით სამშენებლო მოედნის სეისმურობად მიღებულია 8 ბალი.

სამშენებლო მოედნის გეოლოგიური აგებულების მოცემულობითა და შენობის საძირკვლის ჩაღრმავების მიხედვით ფილის დაფუძნება უწევდა №3 ფენასა (საანგარიშო წინაღობვით R_0=3.50 კგ.ძ/სმ^2), გამომდინარე საინჟინრო- გეოლოგიური დასკვნიდან, კერძოდ უშუალოდ საძირკვლის ქვეშ სამშენებლო თვისებების მხრივ ერთგვაროვანი ფენის შექმნის მიზნით, ფილის ფუძედ მიღებულია 0,4-0,5მ სისქის მდინარეული ბალასტით შექმნილი ხელოვნური ფუძე შრეობრივი დატკეპვნით.

შენობის მზიდი კონსტრუქციების სივრცითი მოდელის საანგარიშო სქემა შედგენილია პროგრამული კომპლექს "лира"-ს მეშვეობით. სასრული ელემენტების მეთოდის საფუძველზე. სივრცით ანგარიშებში მოცემულია რკინაბეტონის ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცითი სისტემა, რომლის გადაადგილება სივრცეში შეზღუდულია საძირკვლის ფილის ძირის დონეზე არსებული X,Y ,Z მიმართულების ბმებით.

საერთო ჯამში შენობის სივრცითი კარკასი გაანგარიშებულია შემდეგი სახის დატვირთვებზე: №1 სტატიკური დატვირთვა, მუდმივი მოქმედების; №2 სტატიკური დატვირთვა დროებითი, ხანმოკლე მოქმედების; №3 სეისმური დატვირთვები X,Y ,Z მიმართულებებით.

მონოლითური რკინაბეტონის ელემენტების არმირება შემოწმდა სნ და წ. 2.03.01-84-ის მოთხოვნების გათვალისწინებით. ელემენტების არმირებაში გამოყენებულია A500C, A240C კლასის არმატურა. ბეტონი – B25 კლასის. სქემატურად საპროექტო ნახაზები შესრულებულია დამაკმაყოფილებელ დონეზე, როგორც კონსტრუქციული სქემები, ასევე მოცემული კვანძები და დეტალები, ელემენტების არმირება, ჩაღუნვები, არმატურის ღეროების ერთმანეთზე გადადება, საკიდების განლაგებისა და ბიჯების, ასევე ბეტონის დამცავი შრის სისქეები აკმაყოფილებს მოქმედ ნორმატიულ მოთხოვნებს.

დასკვნა

საინჟინრო ექსპერტიზაზე წარმოდგენილი შპს "ოპტიმუსი"-ს მიერ დამუშავებული ქ.თბილისი, ისნის რაიონი, ვაზისუბნის დასახლება 23-ე კორპუსის მიმდებარედ (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.17.10.001.114) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციული ნაწილი ძირითადად პასუხობს მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მის განხორციელებას დადებით შეფასებას ვაძლევთ.

შპს "ლილეო"-ს

დირექტორი:

ინჟინერ-კონსტრუქტორი

ალ.ფურაშვილი

CV

გვარი, სახელი, მამის სახელი: - ყურაშვილი ალექსანდრე

მისამართი: - ქ.თბილისი, იპ. ხვიჩიას ქუჩა №16, ბინა 11

ტელეფონი: - ტელ: 2 37 55 77
მობ: 5 99 05 70 94
პ/ნ 01024034907

განათლება: - 2002 წელს ჩავაბარე და 2008 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

- მშნებელ-ინჟინერის სამუშაო საქმიანობა და გამოცდილება 2006 წლიდან დღემდე.

-შპს "ვალენტია ინდუსტრია" 2005-2006წწ.

-"სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური" თანამდებობა: ქონების განვითარების სამსახურის სპეციალისტი 2006-2009 წწ.

- 2009 წლიდან 2011 წლამდე ვმუშაობდი საპროექტო ორგანიზაცია შპს "დიტრიხ"-ში მის: ქ.თბილისის, ბახტრიონის ქუჩა №28, კონსტრუქტორის თანამდებობაზე.

- 2011 წლიდან დღემდე შპს "ლილეო"– ს დირექტორი თანამდებობა: ინჟინერ-კონსტრუქტორი

ენების ცოდნა: - ქართული– მშობლიური
- რუსული-კარგად
- ინგლისური-კარგად

სხვა მონაცემები:

კომპიუტერული პროგრამები:
OS: Auto cad; ArchiCAD; Windows XP; Microsoft Office; Internet Explorer; საინჟინრო-გამოთვლითი პროგრამა "Lira sapr"- ი

ინჟინერ-კონსტრუქტორის ა. ყურაშვილის მიერ ბოლო 7 წელიწადში (2009-2016 წლებში) შესრულებული ობიექტების სია

1. 5 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის კონსტრუქციული ნაწილი ქ.თბილისი, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ
2. 8 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი ქ. თბილისი, ვეკუას ქუჩა №30
3. მრავალფუნქციური კომპექსი (საწარმო) ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №63
4. სამრეწველო შენობა ქ.თბილისი, ლილოს დასახლება საქნავთობის მიმდებარე ტერიტორია დამკვეთი: მედეა რამიშვილი
5. სამრეწველო შენობა ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი მიმდებარე ტერიტორია დამკვეთი: დავით ბავარი
6. ქ.თბილისი, გახოკიძის ქუჩა №3/5-ის მიმდებარედ სასტუმრო დამკვეთი: ბოინგ ვუ
7. ქ.თბილისი, გაკოხიკიძის ქუჩა №31-33 კომერციული დანიშნულების 3 სართულიანი შენობა დამკვეთი: ნინო წიკლაური
8. გუდაური, სასტუმროს პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამკვეთი: თამარ ბარათელი
9. ქ.ბათუმი, მაჭახელას ნაკრძალი, მუნიციპალიტეტის შენობის კონსტრუქციების საექსპერტო კვლევა
10. ქ.თბილისი, ვარკეთილი ოლიმპიური სოფელი, მარავალფუნქციური სავაჭრო დანიშნულების შენობის საექსპერტო კვლევა.

ამ პერიოდის განმავლობაში, ასევე შესწავლილი მაქვს დაახლოებით 300-მდე შენობა-ნაგებობა, რაზედაც გაცემულია შესაბამისი ტექნიკური და საექსპერტო დასკვნები, კონსტრუქციული გადაწყვეტები..

საქართველო

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01024034907

სახელი ალექსანდრე

გვარი ყურაშვილი

დაბადების თარიღი 21.02.1985

დაბადების ადგილი თბილისი

№ ღ 1428509

პირადი ხელმოწერა

მისამართი თბ. ქ/ნი ი.ჭავჭავაძის ქ. N 16 ბ. 11

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახური

გაცემის თარიღი 11.05.2011

მოქმედების ვადა 11.05.2021

რეგისტრაციის თარიღი 23.06.2001

ბ.ა. უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

დამტკიცებულია: შემსრულებელი შპს „ქობადონი +"; სფს რეგისტრაციის № 05-1623

დამკვეთი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
შემსრულებელი: საგამომცემლო-პოლიგრაფიული სახლი კაბადონი
ს.ფ.ს. რეგისტრაციის № 7 - 0158

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

ბაკალავრის დიპლომი

BACHELOR'S DIPLOMA

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

With honours

STU № 000839

This is to certify that Mr./Ms. **Alexander**
Name, Surname
Kurashvili

was enrolled in **2002** in Georgian Technical University and in **2006**

completed the requirements of Faculty of
Civil Engineering

Bachelor's Degree of the University

with major in **Industrial and Civil Engineering**

By the decision of the State Qualification Commission, **September**
Month, Day, Year
18, 2006. Mr. Alexander Kurashvili
Name, Surname

was awarded the Academic Degree of

Bachelor of **Civil Engineering**

Seal

Rector

Dean

City: Tbilisi

Registration # **06535**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

წარჩინებით

STU № 000839

ეძლევა **ალექსანდრე ყურაშვილს**

მასზედ, რომ იგი **2002** წელს ჩაირიცხა და **2006**

წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სამშენებლო

ფაკულტეტის

ბაკალავრიატის სრული კურსი **სამრეწველო და სამოქალაქო**
მშენებლობის

სპეციალობით

საკვალიფიკაციო კომისიის **2006 18. 9** გადაწყვეტილებით
(წელი, რიცხვი, თვე)

ალექსანდრე ყურაშვილს მიენიჭა

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და **მშენებლის**

კვალიფიკაცია

რექტორი

დეკანი

ქალაქი თბილისი

სარეგისტრაციო ნომერი **06535**



მაგისტრის
დიპლომი

MASTER'S
DIPLOMA

დამკვეთი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დამამზადებელი: შპს „ფორმა“
სწს რეგისტრაციის № 04-1599

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

MASTER'S

DIPLOMA

MA № 000505

This is to certify that by the decision June 26, 2008

of the Civil Engineering faculty

of the Technical University of Georgia

Mr. Alexander Kurashvili

born on February 21, 1985

was awarded an academic Degree of Master with a Major in

Civil Engineering

seal

Dean of the faculty

Rector

Tbilisi September 18, 2008 Registration No 00504

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაგისტრის

დიპლომი

MA № 000505

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

საინჟინრო

ფაკულტეტის 2008 წლის 26. 6 გადაწყვეტილებით,

ალექსანდრე ყურაშვილს

დაბადებულს 1985 წლის 21 თებერვალს

მიენიჭა მშენებლობის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

ბ. ა.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

თბილისი 18/09/2008 რეგისტრაციო # 00504